პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975 ოთხშაბათი 24 სექტემბერი № 224 (16350) ფასი 2 კაპ. 1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ფასდაუდებელი იდეური მემკვიდრეობა

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შეხედულობის მახშტაბების გაფართოებისა და მისი ამოცანების გართულების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის განვითარების კვალობაზე საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო იზრდება მარქსისტულ-ლენინური თეორიის — სამყაროს შეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი იარაღის — მნიშვნელობა.

„ჩვენი პარტია მეცნიერული კომუნიზმის პარტიაა, — თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — იგი განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე, რევოლუციური მეცნიერებით, ყოველ ღონეს ხმარობს მისი შემდგომი განვითარებისათვის. საზოგადებრივი ცხოვრების მოვლენების, მისი მთავარი ტენდენციების თეორიული გააზრება საშუალებას აძლევს პარტიას განვვრიტოს საზოგადოებრივი პროცესების მსვლელობა, შეიმუშაოს სწორი პოლიტიკური კურსი, თავიდან აიცილოს შეცდომები და სუბიექტივისტური გადაწყვეტილებანი“.

მარქსიზმ-ლენინიზმი საფუძველია კომუნისტური მსოფლმხედველობისა, რომლის ჩანერგვა მშრომელთა ფართო მასებისათვის მთელი ჩვენი იდეურ-აღზრდელობითი მუშაობის დედაარსია. სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების აქტიური პროპაგანდა, ის, რომ ჩვენმა კადრებმა, ყველა კომუნისტმა ღრმად შეითვისონ იგი. ყრილობის მითითებანი განვითარდა და დაკონკრეტდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ რიგ მომდევნო გადაწყვეტილებებში, მათ შორის დადგენილებაში „ბელორუსიის პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის მუშაობის შესახებ“. ახლა, განსაკუთრებით მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის დამდეგს, პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ ყურადღებას უთმობენ ამ მითითებათა რეალიზაციას.

კომუნიზმი ისევე გასაგები უნდა გახდეს მშრომელთა მასებისათვის, როგორც მათი საკუთარი საქმე. ახორციელებს რა ლენინის ამ ანდერძს, პარტია გულმოდგინედ იღვწის იმისათვის, რომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა ფასდაუდებელი იდეური მემკვიდრეობა მთელი ხალხის კუთვნილებად იქცეს, მათი ნაშრომები ჩვენში უზარმაზარი ტირაჟით გამოდის, ცნობილია, რომ სსრ კავშირში გვაქვს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა ორი გამოცემა, ვ. ი. ლენინის თხზულებათა კრებულების ხუთი გამოცემა, ამასთან მეხუთე, 55-ტომიანი თხზულებათა სრული კრებული უკვე ორჯერ გამოიცა დამატებითი ტირაჟით. გაჟღენთილია ლენინის 58 კრებული. მარტო გასული წლის მანძილზე პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი.

ПРАВДА

23 სექტემბრის მოწინავე

მარქსის, ენგელსის, ლენინის დოკუმენტებისა და ნაშრომების შეკრებაში, გამოცემისათვის მომზადებაში, მათი იდეური მემკვიდრეობის პოპულარიზაციაში დიდ როლს ასრულებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მან უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გააკეთა პროლეტარიატის დიდი მასწავლებლების შრომების მეცნიერული კვლევისა და პუბლიკაციისათვის.

პარტიის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებისა და პროპაგანდის დარგში წამოყენებული ამოცანები მოითხოვენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა პრობლემებზე მომუშავე ინსტიტუტებისა და დაწესებულებების, მთელი იდეოლოგიური კადრების საქმიანობის შემდგომ აქტივიზაციასა და მისი დონის ამაღლებას. საბჭოთა ადამიანებს უნდა დავეხმაროთ ყოველმხრივ აითვისონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ამჟამად იზრდება არა მარტო პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი აქტივის, არამედ კომუნისტთა და უპარტიოთა უფართოესი მასების ინტერესიც რევოლუციური აზრის უკვდავ ქმნილებათა შესწავლისადმი. მარტო პარტიული სწავლების სისტემაში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ცოდნას მილიონობით მშრომელი იძენს. საბჭოთა ადამიანებს ორგანულ მოთხოვნილებად გადაექცათ რთული პრობლემების გადაჭრასას რჩევისათვის მიმართონ ხელმე მარქსს, ენგელსს, ლენინს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა წაახალისონ ეს კეთილშობილური მისწრაფება, უზრუნველყონ თავიანთი მარქსისტულ-ლენინური მომზადების ამაღლებისათვის კადრების ნაყოფიერი მუშაობის პირობები. აქ საქმიანობის ფართო ასპარეზია გადაშლილი თეორიული სემინარებისათვის, პოლიტიკური განათლების სახლებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის, ლექციური პროპაგანდის ორგანიზატორებისათვის.

განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს ის, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, უწინარეს ყოვლისა მომავალი სპეციალისტები ვაზიარონ მეცნიერული კომუნიზმის პირველწყაროებს. ადამიანები, რომლებიც იღებენ უმაღლეს განათლებას, ვერ დასჯერდებიან პოპულარულ ლიტერატურას თეორიის ამა თუ იმ საკითხებზე. საზოგადოებათმცოდნე პედაგოგების უშუალო მოვალეობაა აქტიურად გამოიყენონ სასწავლო პროცესი იმისათვის, რომ სტუდენტებს ჩაუნერგონ მარქსის, ენგელსის, ლენინის ნაშრომების ღრმა დამოუკიდებელი შესწავლის მოთხოვნილება და ჩვევები. ამას უსახავს მიზნად პედაგოგიურ კადრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელსა და სარატოვის ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის მუშაობის შესახებ“.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა მიერ დატოვებული თეორიული სიმდიდრის ღრმა ათვისება საარსებო საჭიროებაა თვით მასწავლებლებისათვის, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთათვის. უამისოდ წარმოუდგენელია საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ყველა შემადგენელი ნაწილის, — ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის შემდგომი განვითარება, არ უნდა შევურეგდეთ ფაქტებს, როცა ზოგიერთი ავტორი თავის პუბლიკაციებში ავლენს მარქსიზმ-ლენინიზმის ზერელე ცოდნას, მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების უცოდნინარობას. თეორიული აზრის შემოქმედებითი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მტკიცე საძირკველზე. ვფლობდეთ ამ მეთოდოლოგიას, ვხელმძღვანელობდეთ მისით ყოველგვარი საზოგადოებრივი პრობლემის განხილვისას, გადაჭრით ვიცავდეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სიწმინდეს — ნიშნავს ნამდვილად ვიცნობდეთ მარქსს, ენგელსს, ლენინს, და ვიცოდეთ არა მარტო მათი დასკვნები, არამედ არგუმენტაციაც, მათ მიერ გამოკვლეულ ჭეშმარიტებაში შემოქმედებითი ჩაჭვდომის გზები.

კომუნისტებისათვის, ყველა საბჭოთა ადამიანისათვის ჩვენი დიდი მასწავლებლების იდეური მემკვიდრეობა იყო და არის რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად მაცოცხლებელი წყარო. ეს წყარო გვმატებს ცოდნასა და განზოგადებულ ისტორიულ გამოცდილებას, სიბრძნესა და შთაგონებას ნათელი კომუნისტური ზოგადსაკაცობრიო მომავლისათვის ბრძოლაში. რევოლუციური მოძღვრება ეხმარება კომუნიზმის მშენებლებს უფრო ღრმად შეიგნონ თავიანთი ალმშენებლობითი საქმიანობისა და ბრძოლის უზენესი აზრი, უფრო ნათლად ხედავდნენ დიადი მიზნისაკენ წინსვლის პერსპექტივებს. ეს არის ლენინური პარტიის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა.

СССР

СССР

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

СССР XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲔᲡᲐᲮᲕᲔᲓᲠᲐᲓ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲠᲔᲦᲕᲔᲚᲝᲑᲐᲛ ᲪᲮᲠᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ქუთაისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის 9 თვის დაგეგმა 23 სექტემბრისათვის შეასრულა. განსაკუთრებით თავი ისახელეს საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ლითოფონის, მინის ტარის ქარხნების, მაუდის ფაბრიკის, კიროვის სახელობის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა.

დამკვრელური შრომა გრძელდება. თვის ბოლომდე გამოშვებული და რეალიზებული იქნება ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია.

ᲐᲖᲘᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲝᲑᲐᲗᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა, რომელიც დგას მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ვახტზე, 23 სექტემბერს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების ბაერთო მოცულობის ცხრა თვის გეგმა.

წლეულს კახეთის ცემენტის ქარხანა რიტმულად, გამართულად შრომობს, პირნათლად ასრულებს გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს. მან რვა თვეში მშენებლებს გეგმის გადამეტებით 7.347 ტონა ცემენტი და 550 ათასი პირობითი ფული მიაწოდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მოწინავე მუშები, რომლებმაც პირადი ხუთწლიანი გეგმები შეასრულეს. მარცხნიდან: ა. შარიქაძე — გამოწვის საამქროს შექანიკოსი, მ. ვიგილაშვილი — მბრუნავი ღუმელის მემანქანე, ფ. გაგაძე — შეამონაგე და ვ. ნავროზაშვილი — დაფქვის საამქროს მემანქანე.

Ე. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ, ᲬᲔᲕᲠ-ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 250 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ილია ნესტორის-ძე ვეკუა — აკადემიკოსი.
გიორგი სამსონის-ძე ძოწენიძე — აკადემიკოსი.
ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი — აკადემიკოსი.

ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

აკაკი გაბრიელის-ძე შანიძე — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

„ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ

ალექსანდრე ილიას-ძე როიტბაკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1975 წლის 17 სექტემბერი.

425 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲧᲣᲠᲫᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ



ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲓᲐᲓᲐᲫᲐᲮᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲕᲐᲜᲔᲚ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲐᲗᲕᲘᲡ



რთველი — მოკლე დროში, უდანაკარგოდ, ვანელებო!

ᲩᲕᲔᲜᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲐᲝ ᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲛᲔᲕᲔᲜᲐᲮᲔᲗᲔᲑᲝ!

გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლევანდელი ზაფხული ჩვენი ბაღ-ვენახებისა და მინდვრებისათვის მეტად მძიმე იყო. ხანგრძლივმა გვალვებმა ურწყავ მიწებზე გაშენებულ ვენახებში არა მარტო წლევანდელი მოსავლის დაკარგვის საშიშროება შექმნა, არამედ თვით ვაზის სიცოცხლეს დაემუქრა. ბაპანაქება ხიცხეში ვაზებმა თითქმის გახმობა დაიწყეს. გვალვა შირაქსა და ტარიბანაში, სადაც წყაროებიც კი არ არის, მთელი ხმაკაცრით დაატყდა ვენახებს. აი სწორედ ამ დროს კიდევ ერთხელ იგრძნეს მევენახეებმა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დახმარება. მათი ზრუნვით ვენახებში საირწყავი წყალი მატარებლისა და ავტომანქანების ცისტერნებით მოვიტანეთ. თქვენი რაიონის ავტოცისტერნებიც გვეხმარებოდნენ ვენახების რწყვაში კახეთის მევენახეებს.

...და გაუძლო განსაცდელს ვაზმაც და მეზვრემაც, ერთიანი ძალებით დავუმარცხეთ გვალვა, მაგრამ ყურძნის ხაკმაო ნაწილი მაინც დაკარგეთ. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა მაინც გადამეტებით შეასრულეთ, ნაცვლად 16.000 ტონისა სახელმწიფო მარანში 16.172 ტონა ყურძენი მივიტანეთ. ყურძნის დამზადების გეგმები მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს ზემო მაჩხაანის, ჯაფარიძის, ოზანის, არმაზიკის კოლმეურნეობებმა.

ყურძნის უხვი მოსავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რთველის ორგანიზებულად, მოკლე დროში დამთავრებას, დაყოვნება კი დიდ დანაკარგებს იწვევს. დანაკარგების თავიდან ასაცილებლად მთელი რაიონის მოსახლეობა, უფროსკლასელი მოსწავლეები დავრაზმეთ. სოციალისტურ შეჯიბრებას კომუნისტები და კომკავშირელები ედგნენ სათავეში. დაწესებული გვქონდა გარდამავალი ვიმპელები.

გარდა ამისა, ყურძნის მკრეფავებისათვის კოლმეურნეობებმა დაწესეს ფულადი ჯილდოები. იმათ, ვინც დღეში ყველაზე მეტ ყურძენს მოკრეფდა, იქვე, ვენახში გადაეცემოდათ ჯილდო. ამან კარგი შედეგი გამოიღო.

რაიონის გეგმის შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია მოსახლეობამ. საკარმიდამო ვენახებში მოკრეფილი ყურძნის მეტი ნაწილი სახელმწიფოს მიჰყიდეს.

კარგად იმუშავეს ღვინის ქარხნების მუშაკებმა. მთელი რიგი სიძნელეების მიუხედავად მათ შეუფერხებლად მიიღეს და გადაამუშავეს ყურძენი.

ჩვენო ვანელო მეგობრებო! რთველმა ახლა თქვენთან გადმოინაცვლა. ამ წერილით იმიტომ მოგმართავთ, რომ გამოცდილებამ გვიჩვენა: რთვლის მოკლე დროში დამთავრება ყურძნის დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. ახლა ჯერი თქვენზეა. იმედი გვაქვს საქართველოში 425 ათასი ტონა ყურძნის დამზადების საქმეში საპატიო წვლილს შეიტანთ. თქვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებას — სახელმწიფოს მიაყიდოთ 14.500 ტონა ყურძენი — უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის საერთო ვალდებულების შესრულებაში.

გისურვებთ რაც შეიძლება მოკლე დროში და უდანაკარგოდ დაამთავროთ რთველი, ზვრების ბარაქით გაახაროთ დედა-სამშობლო. თქვენთან ერთად გვსურს მხრებგამართულნი შეეგებოთ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას.

გვწამს, რომ ჩვენს წერილს მხურვალედ გამოეხმაურებიდ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ:

გ. დავითაშვილი — საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანი, მ. ნატროშვილი — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ი. ხუციურაული — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, გ. აბულაძეშვილი — კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი, ნ. მამაიაშვილი — ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, პ. კოტაიძე — ზემოქედელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნ. ყოჩიაშვილი — ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, ი. ფიროსმანაშვილი — ბაბანარეულების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, დ. ბატიაშვილი, გ. ჯაბასპიშვილი — არმაზიკისა და ოზანის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები.

ᲡᲐᲓ ᲠᲐᲓᲔᲜᲘ ᲛᲝᲘᲙᲠᲘᲤᲐ

(23 სექტემბრისათვის)

რაიონები	ვალდებულება (ტონობით)	მოკრეფილია (ტონობით)
გურჯაანი	80.000	79.412
თელავი	45.000	41.590
ყვარელი	29.000	23.597
სიღნაღი	24.485	30.321
ახმეტა	23.000	21.388
საგარეჯო	20.000	11.427
წითელწყაროო	19.000	16.172
ლაგოდეხი	5.500	6.145
მარნეული	15.860	11.404
გარდაბანი	9.200	4.049
მცხეთა	10.000	3.472
გოლნისი	8.725	4.858
ზესტაფონი	26.850	259
თერჯოლა	18.100	1.456
მაიაკოვსკი	14.300	347
საჩხერე	5.450	1,018
ორჯონიკიძე	5.350	169
კასპი	9.350	144
ვანი	14.500	80
ჩოხატაური	2.020	217
სულ მოკრეფილია		259.446

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

მოსწავლე ახალგაზრდობის წვლილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ინიციატივის შესახებ. მათ გადაწყვეტეს აქტიური მონაწილეობა მიიღონ მტკიცე საკვები ბაზით მეცხოველეობის უზრუნველყოფაში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეთა შორის იგრძნობა სერიოზული დადებითი ტენდენციები გონივრულად შეუხამონ ერთმანეთს სასწავლო პროცესი და აქტიური მონაწილეობა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

რეპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, საშუალო სპეციალურ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებმა, ტექნიკუმებმა ინიციატივა, რომელთაგან თვითეულმა ვალდებულება იკისრა კოლმეურნეობის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით დაამზადოს 200 კილოგრამი თივა. დარჩენილ მოსწავლეთა წამოწყებას მხარი დაუჭირა რაონის მთელმა მოსწავლე ახალგაზრდობამ, რომელმაც ვალდებულება იკისრა დაამზადოს 2.500 ტონა თივა.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ზუგდიდელთა პატრიოტულ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკაში, იგი გახდა საქართველოს მოსწავლეთა მასობრივი მოძრაობა. დღეს პროექტიულად თვითეული სოფლის სკოლა, თვითეული უფროსკლასელი აქტიურად მონაწილეობს საკვებმოპოვებისა და საკვებდამზადების პროცესში.

ავლენენ და იყენებენ ყველა ახალ რეზერვს, რათა გამოზამთრების პერიოდში პირუტყვი უზრუნველყონ დამატებითი იაფი საკვებით. ყოველგვარ მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს, მაგალითად, ონისა და თიანეთის რაიონების მოსწავლეთა თაოსნობა რკოს, წიწიბოსა და სხვა ტყის ნაყოფის კრეფის საქმეში.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ზუგდიდის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ინიციატივა და 1975 წლის 25 აგვისტოდან გამოაცხადა დამკვრელური კომკავშირული ორთვიანი საზოგადოებრივი პირუტყვის მომავალი გამოზამთრებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა ერთობლივი დადგენილებით გამოაცხადეს შეჯიბრება-კონკურსი სოფლურ, საქალაქო, რაიონული, სასკოლო, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კომკავშირულ ორგანიზაციებს, საკვებდამამზადებელ კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობას მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, არსებული რეზერვებისა და შესაძლებლობების სრულ გამოყენებას, კომკავშირელთა და ახალგაზრდათა, კომკავშირულ ორგანიზაციათა, თვითეული ქალაქისა და ბაბუკის აქტიურ მონაწილეობას რესპუბლიკის მეცხოველეთა წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში, დაადგინა: მოწონებულ იქნეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების ინიციატივა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფისათვის კომკავშირული ლაშქრობის შექმნას.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაევალათ კვლავაც განავითარონ მოსწავლეების, სოფლის ახალგაზრდობის მისწრაფება აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და, კერძოდ, მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მათი სასარგებლო ინიციატივის გაფართოებასა და იდეოლოგიურ უზრუნველყოფას.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საშუალო სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უნდა წარმართოს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობა საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა წარმატებით დამთავრებისა და მეათე ხუთწლედის პირველი წლის მოსავლის მყარი საძირკველის ჩაყრისათვის. მხარი უნდა დაუჭიროთ და განვავითაროთ მოსწავლეებისა და ახალგაზრდების თაოსნობა საკვების დამზადების გადიდების ახალი რეზერვების გამოყენებისათვის. ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი მუშაობის რკოსა და წიწიბოს, მეღორეობისათვის ამ უძვირფასესი საკვების შეგროვებისათვის.

რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატიურად უნდა გაიშუქონ ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა მეცხოველეობისათვის საკვების დამზადებაში, უფრო ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა მოწინავეთა დიდიან გამოცდილებას, ახალგაზრდა საკვებდამამზადებელთა შრომითს მიღწევებს.

საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალათ 1975 წლის დეკემბერში მოაწყონ კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივების და ახალგაზრდა საკვებდამამზადებლების — მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზით უზრუნველყოფისათვის ახალგაზრდული ლაშქრობის გამარჯვებულთა რესპუბლიკური შეკრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოთქვა რწმენა, რომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციები და მთელი ახალგაზრდობა ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა იბრძოლონ რესპუბლიკის მშრომელთა სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებასა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეულ შეხვედრაში.

(საქინფორმი).

სკკპ XXV ყრილობის უსასახელოდ

დავამკვიდროთ მუშაობაში პარტიული, ლენინური სტილი

საწარმოო და პოლიტიკური ღონისძიებების ვითარებაში ეძახდებიან სკკპ XXV ყრილობისათვის ახალცხის რაიონის მშრომელები. ისინი ხუთწლედს კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ.

წარმოების ეფექტურობის ზრდის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია შრომის მტკიცე დისციპლინა. ამიტომ პარტიის რაიკომი, ბიუროები პარტიული ორგანიზაციები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში დიდ მუშაობას ეწევიან შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, ეკონომიკის ზრდის რეზერვების ეფექტური გამოყენებისათვის.

ამ მხრივ მუშაობის სანიმუშო მაგალითს იძლევა სოფელ ვალეს მეხარეობის სასწელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე სოკიალისტური შრომის გმირი ს. კაკაჩიშვილი, პარტბიუროს მდივანი ი. გოგლაშვილი), რომელმაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრ სახეში უკვე შეასრულა მეცხრე ხუთწლედის დავალებები. წელს-ულს აქ საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 20,5 ცენტნერი მარცვლეული და საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერ კარტოფილს ელიან. ვალელები ხორცისა და რძის წარმოებაშიც ჩვენთან ერთ-ერთი პირველნი არიან.

რა არის ვალელ მიწათმოქმედთა

კარტიული ცხოვრება

პონტროლი ამაღლებს დისციპლინას

ლი მეცხოველეთა წარმატების „საიდუმლოებაზ"?

როგორც ცნობილია, უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ახალცხის რაიონის მშრომელებს, კერძოდ, ვალელებს თავს დაატყდა გვალვა, მაგრამ ისინი ერთსულოვნად დაირაზმნენ ბუნების სტიქიის დასაძლევად. კოლმეურნეობის მემინდვრეები, მრწყველ-მექანიზატორები დღედაღამ მიხდრად ყვენენ და ნათესებს მაცოცხლებელ წყალს აწვდიდნენ. შემდეგ ისინი ასევე გულმოდგინედ მუშაობდნენ თავთავიანი მარცვლეულის კულტურების მოსავლის აღებისა და საცავის დაზაღებაზე.

მხვნელ-მთესველებში მოვალეობის ასეთი ღრმა გაგება, შრომისადმი ნამდვილი კომუნისტური დამოკიდებულება დაჩვეულია ორგანიზაციის მიერ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებით. ამისათვის, რომ ადამიანებს ჩაუნერგონ ინიციატივის გრძნობა, შემოქმედებითი აქტიურობა, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ მომთხოვნელობა, ამაღლონ თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა, აქტიური კომუნისტები ეფექტურად იყენებენ მიღებულ დადგენილებათა და დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების კონტროლის ნაცად ფორმებს, ამასთანავე ეყრდნობიან კოლექტივის დიდ აღმზრდელობითს ძალასა და ავტორიტეტს. მაგალითად, ახლა, როცა კოლმეურნეობაში კარტოფილის მოსავლის აღებისა და პარტიუყვის საკვების დამზადების გაცხარებული დღეებია, ერთმანეთს ამოწმებენ თვით სოციშეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადები, რგოლები, მეცხოველეობის ფერმები. ვალელებულებთა შესრულების კონტროლსა და შემოწმებაში ბირადად მონაწილეობენ პარტბიუროს წევრები, კომუნისტები, რომლებიც ამავე დროს ყურადღებას ამახვილებენ შესრულების ხარისხსა და შრომის დისციპლინაზე.

შეჯიბრების შედეგებს აქ ყოველთვიურად განიხილავენ. გამარჯვებულად ის კოლექტივი ითვლება, რომელსაც კარგი ეკონომიური მაჩვენებლები აქვს შრომის დისციპლინის დაურღვეველად. წუნსმეთებლებსა და დისციპლინის დამრღვევებზე კი მკაცრად, პრინციპულად მსჯელობენ. არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ცოტა წვლილი როდი შეაქვთ პოლიტინფორმატორებსა და ავტატორებს, რომლებიც თვალნათლივ უჩვენებენ ადამიანებს, თუ რა სარგებლობა მოუტანს

ლი ბრიგადირები, ფერმების გამგეები, სპეციალისტები. მკაცრად სთხოვენ პასუხს ყველას, ვინც არცხენს კომუნისტის წმინდა სახელს, პასუხისმგებლობას არ გრძნობს საერთო საქმისათვის. კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს შემდეგ ყურადღებით განიხილავენ პარტბიუროს სხდომებზე, კოლმეურნეობის გამგეობა და პარტბიუროა სახავენ მათი განხილვის კონკრეტულ ღონისძიებებს.

ზოგან თვით მშრომელთა ინიციატივით წარმოების დეზორგანიზატორთა მიმართ აღმზრდელობითს ზომებთან ერთად იყენებენ ე. წ. „საგანგებო" ზომებს. ამ ფაქტში გამოსჩენილ პატიოსან ადამიანთა მტკიცე გადწყვეტილება ბოლო მოუღონ სოციალისტური დისციპლინის ლენინური პრინციპებიდან ყოველგვარ გადახვევას.

კოლექტივში დისციპლინის დონე ბევრად არის დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორია ადამიანთა შრომის პირობები. ვ. ი. ლენინი ხშირად ამახვილებდა ყურადღებას იმაზე, რომ მუშათა დისციპლინურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ პირობებზე, რომლებშიც ისინი მუშაობენ. ამიტომ პარტიის რაიკომი პირველადან ერთ-ერთ ამოცანად უსახავს ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა სოციალ-ეკონომიურ პირობებს, კარგად გაერკვნენ წარმოებისა და ყოფის ორგანიზაციებში. ეს ყოველი კრების მომზადებაში კომუნისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომის მოწინავეები და ვეტერანები. კრებებზე განიხილავენ საკოლმეურნეო წარმოების ყველაზე მტკივნეულ, პრობლემურ საკითხებს. ანგარიშებით გამოდიან ბრიგადირები, ფერმების

ქართული ცხოვრებიდან

ბიბილისელი კომუნისტები —მეცხოველეებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმმა დასახა რესპუბლიკის მეცხოველეობის ეფექტიანობისა და რენტაბელობის მკვეთრი აღმავლობის გზები.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ დედაქალაქის კომუნისტებმა. ამ აზრით იყო გამსჭვალული 22 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამართული თათბირზე გამოსული ყველა ორატორის სიტყვა.

თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები, გაწყობილებათა გამგეები, პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომების მდივნები, თბილისის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, სამრეწველო საწარმოთა დირექტორები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ალადაშვილი.

— რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების პრობლემა რთული პრობლემაა, — თქვა მან. — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ და კიდეც უნდა გადავჭრათ ეს პრობლემა. საჭიროა ამ ამოცანის გადასაწყვეტად დავრაზმოთ ყველა კომუნისტი.

რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს სოფლისათვის საშეფო დახმარების გაწევის საქმეში. ყოველწლიურად ათეულ ათასობით თბილისელი უშუალოდ მონაწილეობს მოსავლის აღებაში, უმაღლეს სასწავლებლთა სტუდენტები და უფროსკლასელები ზაფხულობით შრომობენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ „ᲣᲐᲛᲘᲠᲜᲯᲔ"



ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ დაშრობილ მიწებზე ხობის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „განთიადის" მოჰყავს ჩაის, სიმინდის, დაფნის, პირუტყვის საკვები კულტურების უხვი მოსავალი. ამ მეურნეობის ტერიტორიაზე 2.000 ჰექტარზე მეტი ამოშრეს. აქედან 900 ჰექტარი უკვე ათვისებულია. მაგრამ დაშრობითი სამუშაოები კვლავ გრძელდება. თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული ადამიანები უტევენ ჭაობებს.

კოლხეთში დაშრობილი მიწების დიდი ნაწილი გადაეცა სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთს". აქ 555 ჰექტარი გამოუთვალეს ჩაის პლანტაციებისათვის, 48 ჰექტარი ციტრუსებს უჭირავს, 52 ჰექტარი ტუნგის კულტურას, ხოლო 100 ჰექტარზე მეტი — ხეხილის ბაღებსა და ლეიქმს.

* * *

ᲮᲔᲠᲗᲘᲡᲖᲔ: მარჯვნივ — საბჭოთა მეურნეობა „განთიადის" მოწინავე მექანიკოსი ალ. ბერეკაშვილი; ქვემოთ — პირუტყვის საკვების დამზადება საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთში"; ზემოთ მარცხნივ — ჭაობის დაშრობი სამუშაოები გრძელდება ხობის საბჭოთა მეურნეობა „განთიადში".

ფ. ᲓᲐᲕᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘᲡ და Მ. ᲓᲐᲛᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲤᲝᲢᲝᲠᲘᲪᲐᲚᲘ

მკითხველები გვწერენ

ᲥᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ. სოფელ ქაქუთში, მდინარე ხოლოჟის ტაფოებში, სადაც მთავრდება საკოლმეურნეობათაშორისო მეფერმეურნეობის ფაბრიკის მშენებლობა, სძირკვლი ჩაეყარა ახალ მშენებლობებს. აქ აშენდება უზარმი საკვების გადასამუშავებელი ორი საამქრო. ამ ობიექტებს ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი აშენებს. საამქროები წელსვე უნდა გადაეცეს ხელშესალოფატაციოდ.

Მ. ᲙᲝᲜᲓᲔᲚᲘᲫᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ. რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივისთვის საზოგადოებრივ „ცოდნის" ლექტორმა მ. სომონოვმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა", ამავე საკითხზე იგი ლექციებით გამოვიდა აგრეთვე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

Ბ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔ.

ᲐᲮᲚᲘᲒᲔᲚᲘ. ნაყოფიერად მუშაობს ბოლაჯურის სასოფლო კლუბთან არსებული ვეტერანთა ბრიგადა. მისი წევრები ამას წინათ ესტუმრნენ სოფელ აბასთუმანს და აქაური მშრომელებისათვის გამართეს კონცერტი.

Რ. ᲒᲔᲠᲘᲫᲔ.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲔᲫᲘᲓᲝᲡ ᲢᲝᲠᲤᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲘᲚᲔᲑᲐᲡ

ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲐᲮᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲗᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲐᲛᲦᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ დედაქალაქის კომუნისტებმა. ამ აზრით იყო გამსჭვალული 22 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გამართული თათბირზე გამოსული ყველა ორატორის სიტყვა.

თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები, გაწყობილებათა გამგეები, პარტიის ქალაქ თბილისის რაიკომების მდივნები, თბილისის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, რაიონული საბჭოების აღმასკომთა თავმჯდომარეები, სამრეწველო საწარმოთა დირექტორები და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ალადაშვილი.

— რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარების პრობლემა რთული პრობლემაა, — თქვა მან. — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ და კიდეც უნდა გადავჭრათ ეს პრობლემა. საჭიროა ამ ამოცანის გადასაწყვეტად დავრაზმოთ ყველა კომუნისტი.

რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელებმა მდიდარი გამოცდილება შეიძინეს სოფლისათვის საშეფო დახმარების გაწევის საქმეში. ყოველწლიურად ათეულ ათასობით თბილისელი უშუალოდ მონაწილეობს მოსავლის აღებაში, უმაღლეს სასწავლებლთა სტუდენტები და უფროსკლასელები ზაფხულობით შრომობენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

მსოფლიო ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓᲦᲙᲐᲑᲘᲚᲘ ᲦᲕᲘᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲫᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲝᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲣᲙᲐᲠᲒᲐᲛᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲛᲘᲠᲘᲗ

მსოფლიო დღეს

შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. (საკდესი). სპეციალური კომიტეტის პოლიტიკურ საკითხთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ნიუ-იორკში ჩავიდა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოს ბრძანებით, ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების დამოკრატიული რესპუბლიკის, ნორვეგიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის, კუბის და რუმინეთის დელეგაციათა მეთაურებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და ჯორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებიანი მოადგილენი.

შეხვედრის დროს, რომელიც ბულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ა. ა. გრომიკომ შეხვდა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის თავმჯდომარეს, ლუქსემბურგის მთავრობის თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა მინისტრს გ. ტორნს და ჩაუბრა მას. საუბარში ისინი შეეხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იმავე დღეს ა. ა. გრომიკო შეხვდა ჩილეს სოციალისტური ქვეყნების — პოლონეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის, კუბის და რუმინეთის დელეგაციათა მეთაურებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკისა და ჯორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებიანი მოადგილენი.

შეხვედრის დროს, რომელიც ბულითად, ამხანაგურ ვითარებაში მიმდინარეობდა, მხარეებმა განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ა. ა. გრომიკომ აქ მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. ოლშოვსკი.

მეგობრულ საუბარში მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მთელ რიგ საერთაშორისო საკითხებზე, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის მუშაობის შესახებ.

გუშინ ა. ა. გრომიკო აქ შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილეს, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰ.-დ. ბენშერს და ესაუბრა მას.

შეთანხმების შესაბამისად მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის ორივე მხარისთვის საინტერესო საკითხებზე, შეეხნენ აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის მუშაობასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საუბარმა საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

სადილი კ. ვალდჰაიმთან

ნიუ-იორკი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა გუშინ აქ სადილი გაუმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურებს.

სადილზე იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჰ. კისინჯერი, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი, დიდი ბრიტანეთის საგარეო და ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ჯ. პალგენი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჰუან ჰუა, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 30-ე სესიის თავმჯდომარე გ. ტორნი.

პორტუგალიის პრეზიდენტი მენარალი ფ. კოუტნა გომეში სსრ კავშირში ჩამოვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ფრანსისკუ კოუტა გომეში და ქალბატონი მარია ესტელა კოუტა გომეში ოფიციალური ვიზიტით საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ ამა წლის ოქტომბრის დამდეგს.

ლიბანი

შეტაკება გრძელდება

ბეირუთი, (საკდესი). დღისით ბეირუთში რამდენადმე მშვიდდება ვითარება, ხოლო ღამით კვლავ იწყება შეტაკებანი. გუშინ ქალაქის ქუჩებში, ლიბანის რადიოს მონაცემებით, აკრიფეს 85 გვამი.

დედაქალაქში იგრძნობა სურსათის მწვავე ნაკლებობა. მკვეთრად გაძვირდა პური, ხორცი, ბოსტნეული. ქალაქის ცენტრში ისევ გაწნდა ხანძრები, რომელთა ჩაქრობაში მონაწილეობენ სარიოს სახანძრო ნაწილები.

პრეზიდენტის სასახლეში პრემიერ-მინისტრის მოადგილის, სარიოს საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჰ. ჰადამის შუამავლობით გრძელდებოდა პოლიტიკური კონსულტაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ პრეზიდენტი ს. ფრანჯიე, პრემიერ-მინისტრი რ. კარამე, შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. შამუნი და ლიბანის ორმაგი გენერალური შტაბის უფროსი. განიხილეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის ეფექტიანი ღონისძიებების მიღების საკითხები.

მოგვიანებით რ. კარამემ განაცხადა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება ყოველნაირად ეცადონ ცეცხლის შეწყვეტისა და სიმშვიდის აღდგენის მოწვევას. მან აღნიშნა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან თანამშრომლობის მეიღრო ხასიათი.

სხდომა ჟენევაში

ჟენევა, (საკდესი). აქ გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ამერიკის შუალედი საკონსულტაციო კომისიის მორიგი სხვა. ეს კომისია მოწოდებულია ხელი შეუწყოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეზღუდვის შესახებ და სტრატეგიული შეტევი იარაღის შეზღუდვის დარგში. ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის 1972 წლის 26 მაისს დადებული ხელშეკრულებისა და დროებითი შეთანხმების, ატომური ომის საფრთხის შემცირების ღონისძიებათა შესახებ ორი ქვეყნის მიერ 1971 წლის 30 სექტემბერს დადებული შეთანხმების მიზნებისა და დებულებების განხორციელებას.

სპორტი

ტელეტაიპის ლენტიდან

ნიუ-იორკი

ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანმა საავტომობილო კომპანიებმა „ფორდმა“, „კრაისლერმა“ და „ჯენერალ მოტორსმა“ გამოაცხადეს, რომ დროებით დახურეს ამწყობი ქარხნები ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში. ამის შედეგად ქურაში აღმოჩნდება კიდევ 20 ათასი მუშა. ახალი დათხოვნები 100 ათასამდე გაზრდიან უმუშევარ ავტომობილმშენებელთა ხაერთო რიცხვს.

ეკონომიური უფსკრული ლია მდიდარ და ღარიბ ამერიკელებს შორის. გაზეთ „ნიუ-იორკ ხანდი ნიუსის“ მონაცემებით, 1974 წელს ყველაზე შეძლებულ ამერიკელთა წილად მოდიოდა ეროვნული შემოსავლის 41 პროცენტი, ისინი კი ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის მეხუთედს შადგენენ. ყველაზე ხელმოკლე ამერიკელთა 20 პროცენტმა ამ ხნის მანძილზე მიიღო რვაჯერ ნაკლები — ეროვნული შემოსავლის მხოლოდ 5,5 პროცენტი.

მელბურნი

აქ ფუშაობა დაამთავრა ავსტრალიის პროფკავშირთა საბჭოს კონგრესმა. პროფკავშირთა საბჭო ქვეყნის უდიდესი ორგანიზაციაა, რომელშიც გაერთიანებულია ორ მილიონამდე კაცი. კონგრესის 700 დელეგატმა განიხილა პროფკავშირთა პოლიტიკა კაპიტალისტურ საყაროში ეკონომიური კრიზისის, ინფლაციის, უმუშევრობის პირობებში და მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები საშინაო და საერთაშორისო საკითხებზე.

ტოკიო

იაპონიაში კვლავ იზრდება ხიძვრე. აქ გამოაცხადეს, რომ ქვეყნის სამ დიდ სამრეწველო ცენტრში — ნაგოიაში, ოსაკასა და კობეში 40 პროცენტით და მეტად გაძვირდა მგზავრობა მუნიციპალური ავტობუსებით და მეტროთი.

ლონდონი

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გამოაცხადეს, რომ სამხრეთ აფრიკული რანდი დევალვირებულია 17,9 პროცენტით. ახალი კურსით, რომელიც ორშაბათს შევა ძალაში, 1,15 ამერიკული დოლარი უღირს ერთ რანდას.

ეთკლვდ

ამბები • ფაქტები

23 სექტემბერი

ლისაბონი

რეაქციული ელემენტები ცდილობენ დააშინონ მოსახლეობა

ბეირუთი

შეიარაღებული შეტაკებანი ლიბანის დედაქალაქის ქუჩებში

ვაშინგტონი

[illegible] ბენტა-გონის [illegible] ბას

ჰენტაგონის მსხვერპლნი

ვაშინგტონი, (საკდესი). გამოვლინდა ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ფორტ-დეტრიკის (მერილენდის შტატი) სამხედრო ბაზაში პენტაგონი ამუშავებდა ომის წარმოების მომწამვლელ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებებს. როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა აღიარეს, ამ კვლევის შედეგად დაიღუპა ბიოლოგიური ლაბორატორიის სამი თანამშრომელი. თანაც მათი სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ნათესავებმა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ გაიგეს.

პენტაგონის მიერ ომის წარმოების მომწამვლელ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა შემუშავების საკითხს ახლა განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. მოსმენის დროს დაადგინეს, რომ პენტაგონი და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არღვევენდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვისა და მოსპობის შესახებ, და ასეთი იარაღის მოსპობის თაობაზე პრეზიდენტის ბრძანების მიუხედავად მაინც ინახავდნენ ამ სახეობათა იარაღს ფორტ-დეტრიკის სამხედრო ბაზაში.

როგორც კონგრესში განაცხადა პენტაგონის თანამშრომელი ჩ. სენსენმ, სპეციალური ჯგუფები აწყობდნენ „ექსპერიმენტებს“, თუ როგორ უნდა მოწამლონ მომწამლავი ნივთიერებებით ქალაქის სასმელი წყალი.

ინდოეთი

ინდოეთ-პაკისტანი

ინდოეთ-ბანგლადეში

ინდოეთ-ჩინეთი

ინდოეთ-ბურმა

ინდოეთ-ბაზა

ინდოეთ-ბაზა

ინდოეთ-ბაზ

გასტროლები და შთაბეჭდილებები

ცისარტყელას ფვიდი ფერი

ბოლშოი სახელმწიფო ანსამბლის — „ბალეტი ყინულზე“ — ორნაწილიანი პროგრამა „ცისარტყელას შვიდი ფერი“ შთამბეჭდავი წარმოდგენა. რუსული ბოიარული კოსტუმებში გამოწყობილი, შვიდ ფერად განლაგებულ ქალთა ნარნარ ფერწულში ცისარტყელა აკიაფდება. შემდეგ მას შესცვლის საესტრადო პლანის, რიტმულად მკვეთრი, რუსულ ხალხურ მოტივებზე შექმნილი ცეკვა „ვოლგური კილო“ (კომპოზიტორი ვ. კორნეევი, ქორეოგრაფი ვ. გოლენკო), სადაც ფიგურული ციკურაობის მაღალი კლასი და შესრულების არტისტიზმი გვიჩვენეს რუსეთი დამსახურებულმა არტისტებმა ა. გოლოშჩაპოვამ და ა. რახლინმა.

ბალეტის მხატვრული ხელმძღვანელის, ლატვიისა და სომხეთის სსრ რესპუბლიკების ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვ. ჩანგას შემოქმედებას თბილისელები ადრევე, მანამდე ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლებითვე იცნობდნენ.

შეტად თავისებური ხელწერის ბალეტმეისტერს დიდ ქორეოგრაფიულ ტილოებზე მუშაობა უყვარს. მაყურებელმა ყინულის მოედანზედაც იხილა მახი ორი გაწლილი ქორეოგრაფიული კომპოზიცია: „ძვირფასი თვლები“ (კომპოზიტორი ი. იაკუშენკო) და „ბრემენელი მუსიკოსები“ (კომპოზიტორი ვ. გლადკოვი).

ვ. ჩანგამ ეფექტურად გამოიყენა ყინულზე სრიალის ყველა კომპონენტი, თანმიმდევრულად, „კრეშენდო“ აღმავლობის ძალით, ქორეოგრაფიული დახასიათის ძვირფასი თვლების ელვარება და ამ გზით ოთხქოს ადამიანთა სახეობები გაეცინა.

თავისებური ინტერპრეტაციით წარმოადგინა ვ. ჩანგამ ძველი გრიმების „ბრემენელი მუსიკოსები“. მოცეკვავენ ა. ეოკინი, რომელსაც მთქმელის როლი აკისრია, პანტომიმით გადმოგვიცემს თავის ხელოვნურ განწყობას. ქორეოგრაფი მოქმედებას ხაბალეტო სპექტაკლის წყობით ათითარებს (ტრუბადურის ვარიაცია, ტრუბადურისა და პრინცესის უწყვეტი ადაეთი, დიფერტისმენტული ცეკვა ბოლოა ურდოში და სხვ.).

კონცერტის მთელი პროგრამა კოფიფის მუქი ფერებით, რომელსაც ფერადი შუქრდილების ეფექტები აძლიერებს. პროგრამის ვიზუალურ გაფორმებაში თუ კოსტუმების შესაფერი სტილით დამუშავებაში დიდი დამსახურება მიუძღვის დასის მთავარ მხატვარს, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. მამონტოვს.

კოლექტივი 1959 წლიდან არსებობს. დასი ძირითადად გამოცდილი მსახიობებისა და სპორტის ოსტატებისაგან შედგება. მათ ამ პროგრამაში გამოავლინეს მკაფიოდ გამოკვეთილი რუსული ეროვნული ხალხური კოლორიტი, რომელიც რევიუს ხარისხშია აყვანილი, რაც კორდებალეტის მწყობრ შეთხზმებულ ციკვაშიც ჩანს.

ნონა ბუნია,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ფოტოებზე: ხელნები მოსკოვის სახელმწიფო ანსამბლის „ბალეტი ყინულზე“ წარმოდგენილან — „ცისარტყელას შვიდი ფერი“.

ხ. კილაჯის ფოტო.

„ფორე მოსულიშვილი“ ბათუმში

ბათუმის ნავსაღგურში პირველი რეისით შოვიდა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი, რომელსაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში იტალიის წინააღმდეგობის ლეგენდარული გმირის, იტალიის რესპუბლიკის ეროვნული გმირის, ჩვენი თანამემამულის ფორე მოსულიშვილის სახელი ჰქვია.

ხომალდი აშენდა ბულგარეთში, ვარნის დიმიტროვის სახელობის ვემნაშენში.

ახალი ტანკერის სიგრძე 116 მეტრია, სიმაღლე ქიმამდე — 7,3 მეტრი, დედვეიტი — 5.650 ტონა.

გემი კომფორტულია, აღჭურვილია უახლესი ნავიგაციო ხელსაწყოებით და ავტომატიკით. დიდი ყურადღება ეჭვს დათმობილი ეკიპაჟის საყოფაცხოვრებო პირობებს.

ტანკერის ეკიპაჟი ძირითადად ახალგაზრდები არიან. ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კურსდამთავრებულია.

ახალი ტანკერის ეკიპაჟს ხელმძღვანელობს სანაოსნოს ერთ-ერთი უკეთესი ახალგაზრდა კაპიტანი ვაჟა ხომერიკი.

ხომალდის უკაპიტანი ემზადება პირველი საცურაოთ რეისისათვის.

გემზე გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მომავალი XXV ყრილობის აღსანიშნავად.

■ ■ ■





ფოტოებზე: ახალი ტანკერი „ფორე მოსულიშვილი“ (ქვემოთ); ტანკერი „ფორე მოსულიშვილის“ კაპიტანი ვ. ხომერიკი (მარჯვნივ) და უფროსი თანაშემწე ე. ზურაბიანი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

მედიკოსთა სახალხო უნივერსიტეტი

დუშეთი. (საკ. კორ.). თორმეტი წელია, რაც ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორია რაიონის მთავარი ექიმი რ. მელაძე. უნივერსიტეტმა ამ დროის განმავლობაში მსმენელთა ექვსი ნაკადი გამოუშვა, რომელთა რიცხვმა 1200-ს მიაღწია. სახალხო უნივერსიტეტს ფილიალები აქვს ფასანაურსა და ანანურში, რომლებსაც ნ. ჩოხელი და გ. ტატიშვილი ხელმძღვანელობენ. ამას წინათ უნივერსიტეტი კიდევ 97 მსმენელმა დაამთავრა.

წყალტუბოში, კისლოვოდსკში, ბიჭვინთაში...

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ენგურჰესის მშენებლები შეებულებას საკავშირო მნიშვნელობის კურორტებზე ატარებენ. ზაფხულის დღეებში ჰიდროსპეციმშენის სამმართველოს გვირაბგამყვანმა ვ. პრუდნიკოვმა და კლდის მბურღავმა ტ. შონიამ ბიჭვინთასა და გაგრაში დაისვენეს, ხოლო წყალტუბოში — ძალოვანი კვანძის სამმართველოს გვირაბგამყვანმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. აბესაძემ და კაშხალმშენის სამმართველოს კლდეზე მცოცავმა ა. ჯალაღანიამ.

კისლოვოდსკში იყვნენ კაშხალმშენის სამმართველოს ელექტრომონტიორი ა. ბონდელიკი, ჰიდროსპეციმშენის სამმართველოს მარკშეიდერი მ. შეგლოვი და სხვები.

ზაფხულში სანატორიუმებში, პანსიონატებსა და დასასვენებელ სახლებში 270 მშენებელმა დაისვენა. ხოლო მშენებელთა ერთი ჯგუფი გამემზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც ერთ თვეს დაისვენებენ ცნობილ კურორტ ვარნაში, დაათვალიერებენ ბულგარეთის ღირსშესანიშნაობებს.

გაგრის პიონერთა ბანაკ „ენგურში“ მშენებელთა 620 ბავშვმა გაატარა ზაფხულის ცხელი დღეები.

გ. ნოდია.

წყაროს ახალი სიცოცხლე

თელავში, „ღვთაების“ გორის ძირში გამომდინარე წყაროო ოდითგანვე იყო ცნობილი. მას ხალხი ნაკურთხ წყაროს ეძახდა. მისი ანკარა ცივი წყალი ჭარტო თელაველებს კი არა, გზად მიმავლთაც ეზიდავდა.

კლდიდან გამომდინარე წყაროთი, ხანაპიროს ქუჩის მშენებლობისა და ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების შედეგად, ვეღარავინ სარგებლობდა.

ქალაქის საბჭოს დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა წყაროს აღდგენა მოიწადინა. დეპუტატმა ე. კაპერსკიმ ლამაზი პროექტი შეადგინა. გაჩაღდა ხაზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა. დეპუტატებს ამომრჩეველებიც ამოუდგნენ მხარში და „ნაკურთხი წყაროო“ კვლავ ჩალგა ხალხის სამსახურში.

ს. იოსებაშვილი,
დიასახლისი, თელავის რ.

ქვიშა მიწისძვრის წინააღმდეგ

მეცნიერების ჰორიზონტები

თურქმენეთის სსრ დიდი ნაწილი, კერძოდ, აშხაბადი, თურქმენეთის დასავლეთი რაიონები და კასპიის ზღვის სანაპიროს შუა ნაწილი, რომლებიც მჭიდროდ დასახლებული და მრეწველობის მხრივ ათვისებულია, ყველაზე მეტად აქტიურია სეისმურად. ყველას ახსოვს აშხაბადის 1948 წლის მიწისძვრა შვიდი ბალის, აშხაბადის ზოგიერთ ადგილას კი უფრო მეტი ძალისაც.

1948 წლის ტრაგიკულმა ამბებმა გვაიძულა დაგვეჭარბინა სეისმოლოგიური მეცნიერების განვითარება, მეტი ყურადღება მიგვექცია სეისმოგამძლე მშენებლობისათვის. აშხაბადის მიწისძვრის შედეგების საინჟინრო ანალიზის საფუძველზე საბოლოოდ უკუგდებულ იქნა ევროპოდებული „სტატიკური თეორია გაანგარიშებისა“, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნის დამდეგს ლონის სპეციალისტებმა შეიმუშავეს, და წამოყენებულ იქნა გაანგარიშების ახალი დინამიკური თეორია, რომელმაც ფართო გამოყენება ჰპოვა არა მარტო სსრ კავშირში, არამედ უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებშიც.

თურქმენეთის დედაქალაქის აღდგენამ, ესე იგი ახალი ქალაქის შექმნამ მაღალი სეისმურობის რაიონში მოითხოვა დამოუკიდებელი და მშენებარე შენობების საიმედოობის, მოსახლეობისათვის სრული უშიშროების გარანტიები. ამ ამოცანების გადასაწყვეტად რესპუბლიკაში მეოთხედი საუკუნის წინათ დაარსებულ იქნა სეისმომედეგი მშენებლობის სპეციალიზებული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. შეძენილმა გამოცდილებამ გამოიწვია ინსტიტუტის მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობა რესპუბლიკის საწარმოო და საპროექტო ორგანიზაციებთან. ამან ხელი შეგვიწყო იმისაც, რომ წარმოებაში უფრო სწრაფად დაგვენერგა გამოცდილებათა შედეგები.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ადგილობრივი მასალების გაზაზე მსუბუქი ბეტონის სეისმომედეგი კონსტრუქციების მიღებას. მიწისძვრის დროს წარმოშობილ სეისმურ დატვირთვასა და შენობის წონას შორის პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს: რაც უფრო ნაკლებია კონსტრუქციების წონა, მით უფრო ნაკლებია დატვირთვა, ხოლო კონსტრუქციების ძირითად ფიზიკურ მახასიათებელთა შეწარჩუნებისას უფრო მაღალია მისი სეისმომედეგობა. გარდა ამისა მსუბუქი ბეტონის კონსტრუქციებს აქვთ მთელი რიგი საერთოდ ცნობილი უპირატესობანიც: ლითონისა და ცემენტის ეკონომია, სატრანსპორტო ხარჯების შემცირება და მშენებლობის ტემპების ამაღლება.

უდაბნოს ქვიშის გამოყენებით ჩვენ შეექმნიო სეისმომედეგი კონსტრუქციებისათვის ორი ტიპის მსუბუქი ფოროვანი შემავსებლები. უკვე მუშაობს ორი საამქრო, რომლებიც უშვებენ ამ დიდმნიშვნელოვან პროდუქციას, შენდება ახალი საწარმოები. მსუბუქ შემავსებლებს დღეს ფართოდ იყენებენ აშხაბადში ნაცხოვრებელ და საწარმოო შენობათა აგებისას. ინსტიტუტის მიერ შემუშავებულმა წინადადებებმა მსუბუქი ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებისათვის გაფართოვა სოფელ ადგილას, მათი გამოყენების სფერო. უკანასკნელ წლებში გაჩაღდა ასეთი კონსტრუქციებისაგან საცხოვრებელი, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების მშენებლობა —ყარაყუმის არხის ზონაში.

მსუბუქი ბეტონის კონსტრუქციების გამოყენების ერთ-ერთი დარგია ექსპერიმენტული მშენებლობა. ახლა რესპუბლიკაში წარმოებს სხვადასხვა სერიების სახლების აგება, რომლებშიც იყენებენ სრულანწყობ კარკასულ ფოსტრუქციებს მსუბუქი ბეტონის ფარდულისებრი პანელებით. მსუბუქი ბეტონი ფოროვანი შემავსებლების საფუძველზე გამოყენებულია ექსპერიმენტულ 9-სართულიან საცხოვრებელ სახლშიც მცოცავ შეფიცვრაში, რომელიც დაპროექტებულია სამშენებლოდ სეისმურ რაიონებში.

აშხაბადში აგებულ 4-სართულიან საექსპერიმენტო სახლებზე ჩაატარეს ნატურული გამოცდა ძლავრი ვიბრაციული მანქანების დახმარებით, რომლებიც ახდენენ სხვადასხვა ძალის მიწისძვრების იმიტაციას, და სახლებმა წარმატებით გაუძლეს გამოცდას.

ჩვენმა ინსტიტუტმა მოსკოვის კუიბიშევის სახელობის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტთან ერთად შემუშავა ტექნოლოგია ყარაყუმის ქვიშებიდან მსუბუქი ბეტონის საიდლე კონსტრუქციებისა. ამენად ჩვენს ქვეყანაში პირველი საექსპერიმენტო-სამრეწველო საამქრო ამ ნაკეთობათა წარმოებისათვის. მათ ახლა იყენებენ ორბინიანი 4-5-ოთახიანი როგორც სეისმური, ისე ჩვეულებრივი ვარიანტის სახლების აგებისას.

მშენებლებს მოეწონათ ახალი მასალა, ხოლო კონსტრუქციების დამზადების ტექნოლოგიის შედარებითი სიმარტივე და უდაბნოს ქვიშების პირდაპირ თვალწინ არსებული ამოუწურავი მარაგი მისი გამოყენების ფართო შესაძლებლობებს ქმნის. ახლა წარმოებს მუშაობა საამქროს მეორე რიგის დასამთავრებლად. საპროექტო სამძლავრე მიაღწევს წელიწადში მსუბუქი ბეტონის 20 ათას კუბმეტრ კონსტრუქციებს.

ყოველივე ეს ჩვენ მიგვაჩნია სეისმომედეგშენებლობაში ინდუსტრიული კონსტრუქციების დანერგვის დასაწყისად.

ჩვენმა ინსტიტუტმა გრძელვადიანი ხელშეკრულება დადო რესპუბლიკის ყველა სამინისტროსთან. რომლებიც კაპიტალურ მშენებლობას აწარმოებენ მშენებლობის ყველა სფეროში მსუბუქი კონსტრუქციების დასანერგავად დიდი კომპლექსური საცხოვრებელი-საყოფაცხოვრებო მუშაობის შესრულებისათვის.

ვ. ბრეიბრაუენსკი,
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. (ახალი ამბების სააგენტო).

ძალოსნობა

რეკორდების კასკადი

ვ. ხრისტოვის სამი მსოფლიო მიღწევა

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის სპორტის სასახლეში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდა ბულგარელი ძალოსანი, მსოფლიოს რეკორდსმენის, იუნიორებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის ვალენტინ ხრისტოვის (პირველი მძიმე წონა — 110 კილოგრამამდე) გამოსვლა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი იყო.

19 წლის მოსწავლემ (იგი ქალაქ პერნიკის საშუალო სკოლის №-11 კლასში სწავლობს) შეკიბრების ბოლოსწინა დღეს მართლაც შესანიშნავ წარმატებას მიაღწია — ერთ საღამოს სამი მსოფლიოს რეკორდი დამყარა: ატაცება — 180 კილოგრამი, აკვრაში — 237,5 კგ და ორჭიდში — 417,5 კგ.

მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა ათლეტი, ალმაათელი ვასილ მოჭეკოვი — 390 კგ (170+220). ასეთივე შედეგი აჩვენა ორჭიდში მესამე ადგილზე გამოსულმა იურკენ ციცკემ (გდრ), რომლის საკუთარი წონა რამდენადმე აღემატებოდა ვ. მოჭეკოვისას.

საინტერესოა, რომ ამ დღეს ფიგარნაგზე გამოვიდა მეორე საბჭოთა ძალოსანიც — თემირტაუელი ეკრო ზაიცევი (იგი ამ ასპარეზობაში კონკურსგარეშე მონაწილეობდა). ი. ზაიცევმა აიტაცა 172,5 კგ, აკრა 235 კგ და ორჭიდის ჯამში აჩვენა საკმაოდ მაღალი შედეგი — 407,5 კილოგრამი... რასაც მისთვის მეორე ადგილის მოტანა შეეძლო!

დასკვნითი დღის წინ ჩემპიონატს კვლავ სსრ კავშირის ნაკრები ლიდერობდა — 78 ქულა. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ბულგარეთის გუნდმა — 70 ქულა, მესაზეზე — პოლონეთიხამ (62 ქულა). ამასთან საბჭოთა და ბულგარელ ძალოსნებს ყველაზე მეტი ოქროს მედალი ჰქონდათ — სამ-სამი.

უკანასკნელ საათს

ბუშინ საღამოს გათამაშდა ჩემპიონატის უკანასკნელი მედლები — მოსკოვის ფიცარნაგზე გამოვიდნენ მეორე მძიმე წონის (110 კგ ზევით) ძალოსნები. გამმარჯვა ვასილ ალექსეევმა — 427,5 კილოგრამი (187,5+240). მისი ძირითადი მეტოქე, ბულგარელი ხრისტო პლაჩკოვი მესამე ადგილზე გამოვიდა — 420 კგ, ხოლო მეორე იყო გერდ ბონკი (გდრ) — 422,5 კგ.

ფეხბურთი

ღღეს ლუჟნიკში

ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი გაიმართება დღეს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე სსრ კავშირისა და ნორვეგიის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეგახსენებთ, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა უკვე ჩაატარეს სამთა მინი-ტურნირის (სსრ კავშირი, ნორვეგია, ისლანდია) სამი მატჩი და სამივეში გაიმარჯვეს, რითაც უზრუნველყვეს თავისთვის მონრეალის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება.

დღევანდელი შეხვედრა ფაქტურად არაფერს წყვეტს, რადგანაც საბჭოთა გუნდის მეტოქეებს გამარჯვების შემთხვევაშიც კი მხოლოდ საკუთარი პრესტიჟის აღსადგენ რევანშზე თუ შეუძლიათ იფიქრონ.

სსრ კავშირისა და ნორვეგიის ოლიმპიელთა მატჩის ტელეტრანსპორტაჟი დაიწყება 20 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

მოკლედ

მძლეოსნობა. რომში გაიმართა „უნივერსიადა-75“-ის უკანასკნელი სტარტები, რომელზეც დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა მძლეოსნებმა. 7 ოქროს, 5 ვერცხლისა და 11 ბრინჯაოს მედალი — ეი მათი ნადავლი. უძლიერესთა სახელი მოიპოვეს სიმაღლეზე სტომაში გ. ფილატოვამ, შუბის ტყორცნაში — ნ. იაკუბოვიჩმა, 800 მეტრზე რბენაში — ნ. მორგუნოვამ, ურთს ტყორცნაში — ა. სპირიდონოვმა, აგრეთვე ამასთარბენებში მონაწილე საბჭოთა გუნდმა.

ხროლა. მიუნხენის ოლიმპიურ სასროლეთზე დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ვაუებში მოსკოველი ალექსანდრე ალიპოვი მეორე ადგილზე გამოვიდა. პირველი იყო კანადელი ჯონ პრიმროზი. ქალთა შორის გაიმარჯვა აგრეთვე კანადელმა სპორტსმენმა სიუზენ ნეტრისმა. საბჭოთა მსროლელი ნატალია უკოლოვა მესამე ადგილზეა.

ველოსპორტი. ფერგანაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში (რბოლა-კრიტერიუმი) უძლიერესი იყვნენ რიგელები: ქალებში — ბ. ცაუნე, ვაჟებში — ვ. გალინუსკასი.

სიმფეროპოლი. მიმდინარეობს უნიორთა საკავშირო პირველობა საგზატეხილო ველოსპორტში. გუნდურ რბოლაში 75 კილომეტრზე გაიმარჯვა ლენინგრადის ნაკრებმა. გოგონებში 15-კილომეტრიან დისტანციაზე უძლიერესი იყო უკრაინელი ო. ლუკუტინა, ხოლო ვაჟებში 30 კილომეტრი ყველაზე სწრაფად დაფარა ი. პეტროვმა (ლენინგრადი).

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო იუწყება:

იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურომ მრავალრიცხოვანი განცხადებები მიიღო ორგანიზაციებიდან და კერძო პირებისაგან,

6-დან 9 ოქტომბრამდე დამატებით აწყობს ტურისტულ მატარებელს — მიმართულებით: **თბილისი-სოხუმი-თბილისი.**

მოგზაურები დაათვალიერებენ ახალი-ათონის გამოქვაბულს, სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, მიიმუნთსაშენსა და ბოტანიკურ ბაღს. **საგზურის ღირებულებაა — 26 მანეთი.**

ღირებულებაში შედის: მგზავრობა კუპირებული ვაგონებითა და საექსკურსიო მომსახურება.

გთავაზობთ, მიიღოთ მონაწილეობა მოგზაურობაში ტურისტული მატარებლით „საქართველო“.

6-დან 23 ოქტომბრამდე — მარშრუტით: თბილისი-ხარკოვი-ბრიანსკი-სმოლენსკი-მინსკი-ბრესტი-ვილნიუსი-კაუნასი-ალინინგრადი-რიგა-ტალინი-ლენინგრადი-როსტოვი-თბილისი. საგზურის ღირებულებაა 165 მანეთი.

29 ოქტომბრიდან — 13 ნოემბრამდე თბილისი-ვოლგოგრადი-უფა-კუიბიშევი-ულიანოვსკი-იაროსლავლი-ლენინგრადი-როსტოვი-თბილისი. საგზურის ღირებულებაა 145 მანეთი.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა ნახევრად რბილ კუპირებულ ვაგონებით, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორნებში და ექსკურსიები ქალაქებში.

გთავაზობთ, მიიღოთ მონაწილეობა ვოლგაზე თბომავალ „ბარგუზინთი“ მოგზაურობაში.

15 ოქტომბრიდან — 5 ნოემბრამდე, მარშრუტით: როსტოვი-მოსკოვი-როსტოვი. საგზურის ღირებულება საშემოგომო შეღავათით — 110 მანეთიდან 200 მანეთამდე.

ღირებულებაში შედის მგზავრობა თბომავალით, სამჯერადი კვება რესტორანში, ექსკურსიები ქალაქებში: ვოლგოგრადი-ხარატოვი-ულიანოვსკი-კუიბიშევი-ტოლიატი-იაროსლავლი-უგლიჩი-კოსტრომა-მოსკოვი.

მატარებლით, გამოსახვლელ დღეებში მარშრუტით: 3-დან 6 ოქტომბრამდე: თბილისი-ბათუმი-თბილისი. საგზურის ღირებულება — 23 მანეთი.

10-დან 13 ოქტომბრამდე თბილისი-გაგრა-სოჭი-ბიჭვინთა-თბილისი. საგზურის ღირებულება 25 მანეთი.

17-დან 20 ოქტომბრამდე თბილისი-ერევანი-თბილისი. საგზურის ღირებულება — 23 მანეთი.

24-დან 27 ოქტომბრამდე თბილისი-ბაკო-თბილისი. საგზურის ღირებულება — 27 მანეთი.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა კუპირებული ვაგონებით და საექსკურსიო მომსახურება.

იყიდება ათდღიანი საგზურები:

მოსკოვში — 19 ოქტომბრიდან — ღირებულება 125 მანეთი;

ლენინგრადში — 31 ოქტომბრიდან — 150 მანეთი.

ღირებულებაში შედის თვითმფრინავთა მგზავრობა ორსავე მხარეს, გაჩერება ტურბაზაში, სამჯერადი კვება და საექსკურსიო მომსახურება.

მიიღება კოლექტიური და ინდივიდუალური შეკვეთები. საგზურები იყიდება, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ჩვენი მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 5, ტელ: 95-77-59; 95-72-24.

თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო.

ჩვენი ცნობარი

ქ. რუსთავის № 17 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1975-76 სასწავლო წლისათვის:

1. ზეინკალ-ავტომაქანიკოს-შემკეთებლის ჯგუფში — 2-წლიან სწავლებაზე, სასწავლებელში მიიღებიან 8-კლასდამთავრებული მოსწავლეები.

განცხადებები მიიღება 1975 წლის 30 სექტემბრამდე.

წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. განცხადება, 2. 8 კლასის მოწმობა — დედანი, 3. პასპორტი, 4. დაბადების მოწმობა, 5. დახასიათება სკოლიდან ან საბჭოდან, 6. 8 ცალი ფოტოსურათი, 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 8. ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, 9. მიწერის მოწმობა.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9 საათიდან — 17 საათამდე. სასწავლებლის მისამართია: ქ. რუსთავი, კიროვის ქ. № 1.

დირექცია.

ცხინვალის ავტობუსების შემკეთებელი ქარხანა იღებს ყველა ორგანიზაციისაგან კაპიტალურ შეკეთებაში ლიმიტის გარეშე ПАЗ-651, ПАЗ-652 და ПАЗ-672 მარკის ავტობუსებს.



მისამართი: ქ. ცხინვალი, კომაროვის ქუჩა № 51.

ტელევიზია

24 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.30 — „ბურატინოს გამოფენა“. (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — ფილმი-ოპერა „დაისი“, 12.15 — დოკუმენტური ფილმი, 13.15 — ფრანგული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ვანკინცსული“ (II სერია), 14.15 — დოკუმენტური ფილმების პროგრამა, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის დოკუმენტური ფილმი „ვინ უნდა ვიყო“?, 19.00 — „ჟანონი და ჟანონიერება“, 19.20 — მოერის მაყვალა ქასრაშვილი, 20.00 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში — საბჭოთა კავშირის და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — ხელოვნებათმცოდნეობა სპექტაკლი „ჯერ დაიბოცნენ, მერე იქორწინეს“. საქართველოს ტელევიზიის დადგმა.

მეორე პროგრამით

19.00 — საესტრადო კონცერტი, 19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოსკოვი, რომელზეც ფიქრობ“.

რადიო

25 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.25 — რუსეთელოკური გაზეთი „ბიბ მომოხილვა, 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ საუბარი „მესრულების შემოწმება“, 12.15 — მღერის ზ. ანჯაფარიძე, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.50 — ჰ. ბერლიოზი. უვერტურა „რომის კარნავალი“, 17.15 — რ. შეიდრინი ნაწყვეტები ბალეტიდან „კუზიანი კვიცი“, 17.35 — მოსწავლეთათვის „წიგნის თარო“, 18.05 — ფრაგმენტები ქართული ოპერეტებიდან, 18.45 — პიესები ხალხურ საკრავთა ორკესტრისათვის, 19.00 — საუბარი „საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელობა“, 19.20 — რ. გაბიჩვაძე. დიფერტისმენტი ხის ჩასაბერ საკრავთათვის, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — „ძიერისპირული“, 21.10 — სცენა სპექტაკლ „მარინედან“, 21.40 — კონცერტი საუბარი „კომპოზიტორი ხ. მირიანაშვილი“ (დაბადების 60 წლისთავის გამო), 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

24 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ლ. ლაბატი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ძველი თბილისის სურათები.

რედაქტორი
დ. მეჭედლიშვილი.

ქომუნისტი 380096 თბილისი-96. ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-34. სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ხელოვნების — 93-27-58. ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01. ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 / უ 12083

ბიბ. კბ ტკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380003 თბილისი-8, ლენინის ქ. 14